საინფორმაციო შეხვედრა რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებთან

ცესკომ და სწავლების ცენტრმა რეგიონული მედია საშუალებების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა. ღონისძიება სწავლების ცენტრის დირექტორმა ნათია ზაალიშვილმა გახსნა, რომელმაც 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების გამჭვირვალედ წარმართვის, ასევე სიძულვილის ენისგან თავისუფალი, უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად მედიის როლის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

შეხვედრის ფარგლებში სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეებთან ერთად განიხილეს საკანონმდებლო სიახლეები და შემდეგი ძირითადი საკითხები:

- მედიის როლი და უფლებრივი მდგომარეობა კენჭისყრის პროცესში;
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციები (მათ შორის, რეგულაციები ხმის მიცემის პროცესში ფარულობისა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობისას ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად);
- მედიის და სხვა ჩართული მხარეების როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად;
- სიძულვილის ენასთან ბრძოლა საარჩევნო პროცესში და მედიის როლის მნიშვნელობა;
- პანდემიის პირობებში არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებსა და იზოლაციაში (კარანტინი, თვითიზოლაცია) მყოფი ამომრჩევლების მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო უბნების შექმნა, ამ უბნებზე დამკვირვებლის/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების დანიშვნა/აკრედიტაცია და მათი უფლებრივი მდგომარეობა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო უბნების შექმნა, ამ უბნებზე დამკვირვებლის/საარჩევნო სუბიექტების/პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების დანიშვნა/აკრედიტაცია და მათი უფლებრივი მდგომარეობა.

მონაწილეებმა ასევე მიიღეს ინფორმაცია 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის N4 კრწანისის საარჩევნო ოლქში გათვალისწინებული საპილოტე პროექტის ფარგლებში ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენების წესსა და პროცედურულ სიახლეებთან მიმართებით.

საინფორმაციო შეხვედრა 2021 წლის 13 სექტემბერს დისტანციურად ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა ტელე/რადიო მაუწყებლების, ბეჭდური და ონლაინ მედიის 26-მა წარმომადგენელმა მიიღო (მათ შორის ქალი - 21 და კაცი - 5).

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3186-sainformatsio-shekhvedra-regionuli-media-sashualebebis-tsarmomadgenlebtan